



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 443

01/08/2017

უსახლკარო მოქალაქეთა განცხადებების მიღების ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის, 122-ე მუხლის, „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უსახლკართა, ასევე მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ შენობებში თვითნებურად შესახლებულ მოქალაქეთა აღრიცხვის, შერჩევის, მათთვის სოციალური საცხოვრისის გადაცემის და შემდგომი მონიტორინგის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 სექტემბის №38 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. უსახლკარო მოქალაქეთათვის სოციალური საცხოვრისის გადაცემის მიზნით დაიწყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის უსახლკარო მოქალაქეთა განცხადებების მიღება.
2. განცხადებების მიღების ვადა განისაზღვროს 2017 წლის 02 აგვისტოდან 10 (ათი) სამუშაო დღით.
3. ბრძანების შესახებ ეცნობოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურს.
4. დაევალოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურს ბრძანების ადგილობრივი თვითმმართველობის საინფორმაციო დაფაზე და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სიღნაღის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მაგისტრატ სასამართლოში (მის: ქ. საგარეჯო, ჯაფარიძის ქ. №4).

გიორგი გზირიშვილი

A handwritten signature in blue ink, appearing to be the name 'გიორგი' (Giorgi) in Georgian script, written in a cursive style.

გამგებელი